პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 12 დეკემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

283 (981) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## სამხკორი და სამხედრო საქმე.

წითელ ჯარში პირველია სამხედრო საქმე. ყოველი წითელ არმიელი პირველ ყოვლისა უნდა იყოს საუკეთესო მებრძოლი, სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, დისციპლინიანი, შეუდრეკელი. ამიტომაც წითელი ჯარის მთელი ყურადღება, მთელი მისი ენერგია უნდა იყოს მიმართული სამხედრო გაწრთვნისა და სამხედრო საქმის საუკეთესოთ დაყენებისაკენ.

ამავე ამოცანას უნდა ემსახურებოდენ ჩვენი სამხკორებიც. მაგრამ მათი მუშაობა ამ მხრივ საგრძნობლად მოიკოჭლებს. ჩვენი სამხკორები უმეტესწილად სწერენ პოლიტ-მომზადების, კულტურულ მუშაობის და სხვა წვრილმან სამეურნეო ნაკლოვანებების შესახებ. იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სამხედრო-სწავლება, რა ნაკლია, რა მიღწევებია, როგორ ეტანებიან ახალი წითელ არმიელები სამხედრო მეცადინეობას, როგორ ითვისებენ დისციპლინას, როგორ მიმდინარეობს საყარაულო სამსახური, რა ნაკლია ამ დარგში და სხვა—ყოველივე ამაზე ჩვენი სამხკორები ძლიერ ცოტას სწერენ. ამავე დროს კი ყველა ეს საკითხები მთავარია, ვინაიდან ისინი განსაზღვრავენ ჩვენი წითელი ჯარის საბრძოლო უნარს და მის სიმტკიცეს.

რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამხკორმა ამიერიდან არ უნდა სწეროს წვრილმანებზე და პოლიტ-კულტურულ მუშაობის შესახებ. სრულიადაც არა. პირიქით მან ისეთივე სისტემატიურად როგორც დღემდე და კიდევ უფრო მეტად უნდა გააშუქოს ყველა ეს საკითხები. მაგრამ ამ საკითხებთან ერთად მან თავის წერილებში უნდა მოიწეროს აგრეთვე სამხედრო სწავლების და დისციპლინის მდგომარეობის შესახებ თავის ნაწილში.

სამხკორის ფხიზელ თვალს არ უნდა გამორჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი რამ ამ დარგში. სამხკორმა თავის კორესპონდენციებში უნდა აღნიშნოს საუკეთესო წითელ არმიელები, რომლებიც გულმოდგინეთ ეკიდებიან სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებას, შეგნებულად ეპყრობიან დისციპლინის საკითხებს.

არ უნდა დაივიწყოს სამხკორმა არც არამზადები, ზარმაცები, დაუდევრები და გამოამზეუროს ისინი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ყოველივე ეს სამხკორმა უნდა გააშუქოს სრულიად მიუდგომლად, ყოველგვარი პირადი სიმპატიის თუ ანტიპატიის გარეშე.

წინააღმდეგ შემთხვევაში სამხკორი არ იქნება თავის მოწოდების სიმაღლეზე და ის თავისი წერილებით დახმარების მაგიერ მხოლოდ ხელს შეუშლის წითელი ჯარის მუშაობას.

სამხკორმა ყოველთვის უნდა სწეროს სიმართლე.

მხოლოდ მაშინ მოუტანს ის სარგებლობას წითელი ჯარის განმტკიცების საქმეს.

სამხკორო, ხშირად მოიწერე სამხედრო სწავლების შესახებ.

## ჩვენი ბრძოლა თავისუფლებისთვის.

(არაბთა განმათავისუფლებელ მოძრაობის მეთაურის აბდ-ელ-ქერიმის წერილი).

ჩვენი რასისა და კულტურის ხასიათი არ გვაძლევს ნებას კიდევ ვითმინოთ ევროპის რომელიმე სახელმწიფოს ბატონობა ჩვენზე. ჩვენ ვსწირავთ ჩვენს ცხოვრებასა და ყველაფერს, რაც კი გვაბადია ჩვენი ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

ევროპა, რომელიც გახრწნილია ომითა და კაპიტალისტების მტაცებლობით, ფულის მანქანის უნებო ტიკინად გადაიქცა. ამ ევროპამ მიაღწია შესაძლებლობას თავს მოეხვევია თავისი იდეები და სურვილები სხვა კონტინენტების ხალხისთვის.

ჩვენ ვილტვით იქეთკენ, რათა კვლავ გავხდეთ კულტურული ერი მშვიდობიანობისა და სოციალურ სამართლიანობის საფუძველზე. ამიტომ ჩვენ, არაბები, უნდა შევეცადოთ დავამტვრიოთ უღელი, რომელიც დაგვადგა კისერზე ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და ესპანეთმა.

ჩვენმა ძმებმა ეგვიპტეში პირველი ლახვარი ჩასცეს უცხოეთის ბატონობას. მალე მთელი ქვეყნიერება გაიგონებს მეორე იერიშს უცხოეთის ბატონობის წინააღმდეგ, რომლის (იერიშის) პირველი ხმა მძლავრად გაისმა მაროკოში.

მალე დაჰკრავს ბრძოლის საათი ალჟირს, ტუნისსა და ტრიპოლისტანში, ვინაიდან ამ ქვეყნების ხალხი უკვე ემზადება დიად განმათავისუფლებელ ბრძოლისთვის.

ჩვენი ბრძოლა სამართლიანი საქმეა. ჩვენ გვბიძგავს არა ბრმა სიძულვილი საფრანგეთის ან ესპანეთის წინააღმდეგ, რომლის მიწა ერთ დროს ჩვენი სამშობლო მიწა და ჩვენ წინაპართა აკვანი იყო.

თვითეულ განათლებულ ესპანელმა იცის, რომ ესპანეთის კულტურის აყვავების ხანაში ესპანეთის მოსახლეობის უმეტესობას არაბები შეადგენდა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც რომ რელიგიურ ბრძოლებმა გამოგვდევნა ჩვენ ნახევარ კუნძულიდან, რომელიც დამშვენებულია ჩვენი ხელოვნებითა და გამდიდრებულია ჩვენი ენერგიით, ამ მშვენიერ ქვეყანამ დაიწყო შეუჩერებელი ხრწნა.

ესპანეთის სამხედრო ძალთა შოვინიზმმა გარეკა ესპანეთის ხალხი გიჟურ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში და გახადა მაროკო ესპანეთის ახალგაზრდობის სასაფლაოდ.

კვლავ უმიზნოდ იღუპება ეს ახალგაზრდობა, როგორც ასი წლის უკან ანდის ველებზე (სამხრეთ ამერიკაში) და 30 წლის წინად კუბის ჭაობებში.

ჩვენ ზიზღს უცხადებთ მკვლელობის ამ ნებადართულ ფორმას. ჩვენ მოვითხოვთ, რათა უცხოეთის სახელმწიფოებმა ხელი აიღონ უნაყოფო ავანტიურებზე და გაიწმინდონ მაროკო. ხოლოდ მაშინ შევსძლებთ ჩვენ მივეცეთ მშვიდობიან შრომას და გავაფართოვოდ ჩვენი ალმშენებლობა, რათა კვლავ დავიკავოთ სათანადო ადგილი ხალხთა შორის.

ჩვენ დაუზოგავ ომს ვაწარმოებთ სანამ არ ავასრულებთ ჩვენს ამოცანას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას, სანამ არ განთავისუფლდება არაბები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებსა და მცირე აზიაში. თავისუფალი მაროკო და თავისუფალი ეგვიპტე იქნებიან დასაყრდნობი წერტები ამ ბრძოლის, რომელიც განახორციელებს ჩვენი რასის აღორძინების საქმეს.

მაროკო აბდ-ელ-ქერიმი.

# ახალი რადიო-ამბები

## გერმანია--საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება

გერმანიის რეიხსტაგ-ს საგარეო საქმეთა კომისიაში ირჩეოდა საკითხი გერმანია—საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. ილაპარაკეს საგარეო საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა, სოციალ-დემოკრატ გილფერდინგმა, კომუნისტ შტეკერმა, დემოკრატ ჰააზმა და სხვა. კამათის შემდეგ ხელშეკრულების გეგმა გადაეცა სავაჭრო პოლიტიკის კომისიას.

## საქსონიის კომუნისტების გასამართლება.

ლეიპციგის უზენაეს სასამართლოში დაიწყო საქსონიის კომუნისტების გასამართლება. მათ ბრალი ედებათ სახელმწიფოს ღალატში, ფარულ სამხედრო ორგანიზაციების შექმნასა და ამაფეთქებელ ნივთიერებათა შენახვის შესახებ კანონის დარღვევაში.

## სახელმწიფო მოსამსახურეთა დემონსტრაცია ბერლინში.

ბერლინში (გერმანიაში) გაიმართა ფართე დემონსტრაცია, რომელზედაც მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფო დაწესებულებათა 50.000 მოსამსახურე. დემონსტრანტები მოითხოვდენ მდგომარეობის გაუმჯობესებას. დემონსტრაციაზე სჩანდა განსაკუთრებით წითელი ფლაგები.

გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც დემონსტრანტები მიმართავენ მთავრობას დახმარებისთვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

## ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურების წინააღმდეგ.

გერმანიის კომპარტიამ მომავალ კვირისთვის მოიწვია მთელს გერმანიაში მასიური დემონსტრაციები სახლის მეპატრონეებზე ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურების წინააღმდეგ.

## კიდევ მოსულის შესახებ

ხალხთა ლიგამ ერთხმად მიიღო ჰააგის ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომ ორივე მხარეთათვის სავალდებულოა ხალხთა ლიგის დადგენილება მოსულის საკითხზეო. ოსმალეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ოსმალეთს არ შეუძლია ხალხთა ლიგის არბიტრაჟს დათანხმდეს პარლამენტის შეუკითხავათო, რის შემდეგ დელეგაციამ სხდომა დასტოვა.

## სხვა ჰანგზე ამღერდა.

გათავისუფლებულ იქნა ამ რამოდენიმე დღის წინად დაპატიმრებული აღმოსავლეთ—ჩინეთის რკინის გზის პროფკავშირთა თავმჯდომარე და მისი თანამშრომლები.

მათ გათავისუფლების წინ რკინის გზის უფროსმა [ჩან—ხუან—სიანმა განაცხადა, რომ მას არაფერი არ აქვს პროფკავშირთა არსებობის საწინააღმდეგო, თუ რომ ისინი მუშაობენ კანონიერების ფარგლებში.

შემდეგ ჩან—ხუან—სიანმა გაუმართა საზეიმო საუზმო საბჭოთა კონსულს.

ჩან—ხუან—სიანმა განაცხადა, რომ მას სურს მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

ჩან—ხუან—სიანის პოზიციის შეცვლა აიხსნება ჩან—ძო—ლინის დამარცხებით.

## გაერთიანების კომიტეტის სხდომა

ინგლის-საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანების კომიტეტის სხდომა გრძელდება. ბერლინში აგრეთვე ჩავიდა ნორვეგიის პროფკავშირთა დელეგაცია.

# საბჭოთა კავშირში.

## საგლეხო სესხის ტირაჟი.

საგლეხო სესხის ტირაჟი სამარკანდში დიდ ყურადღებას იპყრობს. მრავალ კიშლაკებიდან (სოფლებიდან) ჩამოდიან დეხკანთა (გლეხების) დელეგაციები. ქალაქში ობლიგაციების გაყიდვის საქმე წარმატებით მიდის. ეროვნული პრესა ტირაჟს დიდ ყურადღებას აქცევს.

## რონოდების ქარხანა ტვერში

ამას წინად მუშაობა დაიწყო ტვერის რონოდების ქარხანამ. ქარხანამ მიიღო 870 რონოდების დაკვეთა.

**განცხადება.**

გაზ. „წითელ არმიელის" რედაქცია ამით აცხადებს ქ. თბილისში მდგომ ნაწილების ყველა სამხკორთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 12 დეკემბერს, ხაშუადღევის სოულ 5 საათზე დივიზიის ცენტრალურ კლუბში მოწვეულია

**თათბირი,**

რომლის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. სამხკორთა მუშაობის ამოცანები.
2. მიმდინარე კითხვები.

ნაწილების სამხკორთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

გაზ. „წითელ არმ." რედაქცია.

## პურის პროდუქტების დამზადება.

საშინაო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით კამპანიის დაწყებიდან 1 დეკემბრამდე დამზადებულ იქნა 275 მილ. ფუთი სხვადასხვა პურის პროდუქტი.

## გაფლანგვისათვის.

ტაგანროგის საოლქო სასამართლოს სესიამ სასამართლოს აღმასრულებელ ვოიჩენკოს 3.000 მანეთი სახაზინო ფულის გაფლანგვისათვის, დახვრეტა მიუსაჯა.

არსკის კანტონის აღმასკომის წევრს სულეიმანოვს კოოპერატივის კუთვნილ 2.000 მან. გაფლანგვისათვის და ყალბი დოკუმენტების დამზადებისათვის მისჯილი აქვს დახვრეტა.

## უცხო სიტყვათა ახსნა

**მეტრი**—უდრის 22 ვერშოკს.

**პოპულიარული**—1. ყველასათვის გასაგები, მარტივი; 2. გავრცელებული, ყველას მიერ ცნობილი.

**კონსული**—ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი მეორე სახელმწიფოში. კონსულის მოვალეობაა სავაჭრო ინტერესების დაცვა და თავის ქვეყნის მოქალაქეთა მფარველობა.

**კონტინენტი**—ხმელეთი.

**შოვინიზმი**—ერთი ერის სიძულვილი მეორესადმი.

**რასა**—ესა თუ ის ჯგუფი, რომელსაც აკუთვნებენ კაცობრიობის ამა თუ იმ ნაწილს სახისა და ტანის აგებულობის მიხედვით.

**აპანტიურა**—რაიმე საქმის დაწყება, რომელსაც არ აქვს მტკიცე საფუძველი და დამყარებულია შემთხვევებზე.

**ალჟირი, ტუნისი და ტრიპოლისტანი**—აფრიკის ადგილებია, სადაც მოსახლეობენ არაბთა ტომები, რომლებიც ევროპის რამოდენიმე სახელმწიფოს ბატონობის ქვეშ იმყოფება.

**სოციალური**—საზოგადოებრივი.

**დეკრეტი**—მთავრობის ბრძანება, განკარგულება.

**რეკორდი**—ამა თუ იმ დარგში მიღწეული უდიდესი წარმატება.

## პოლიტმომუშავეები და მეთაურები აქტიურად უნდა ჩაებან საკლუბო მუშაობაში.

წითელარმიელთა სამხედრო-პოლიტიკურ აღზრდის საქმეში კლუბს და საზოგადოთ სკოლის გარეშე პროპაგანდას მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ეს დებულება დღეს ყველასათვის ნათელი და აშკარა უნდა იყოს. აგრეთვე ნათელი უნდა იყოს ისიც, რომ საკლუბო მუშაობა მაშინ მიაღწევს თავის მიზანს, როცა მასში აქტიურად ჩაებმებიან არა თუ წითელარმიელები, არამედ პარტიულები, კომკავშირელები და მეთაურები. მაგრამ სამწუხაროთ ეს ასე არ ხდება. მეტად ხშირად მთელი საკლუბო მუშაობის სიმძიმე აწვება კლუბის უფროსს, რამოდენიმე წითელარმიელს და პოლიტხელს. ეს კი არა ნორმალურია, ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ ამოცანას შეადგენს ყოველმხრივ გავაცხოველოთ კლუბის და მისი წრეების საქმიანობა, მივიზიდოთ მასში წითელარმიელთა ფართე მასა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ კლუბის მუშაობაში უდრესად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მეთაურები და პოლიტმომუშავენი.

ნაწილის თითეულ კომუნისტმა სავალდებულოთ უნდა გაიხადოს სკოლის გარეშე პროპაგანდის რომელიმე დარგში მუშაობა. იგივე უნდა ქნას კომკავშირელმაც და ცხადია მეთაურმაც. ხშირადაა შემთხვევი, როცა იმართება წარმოდგენა. მაყურებლები, რომელთა შორის პოლიტმომუშავენია და მეთაურებიც უკმაყოფილო არიან ან წარმოდგენის დაწყების დაგვიანებით ან თვით მისი უფერულობით. მაგრამ არც ერთი „მოკრიტიკე" არ კითხავს თავის თავს: რა გააკეთე შენ ამ წარმოდგენისათვის?

თუ მისცემ მას ასეთ კითხვას, ის გიპასუხებს: კლუბის უფროსის საქმეაო. ეს არ არის სწორი. ცხადია კლუბის უფროსიც პასუხისმგებელია, მაგრამ სკოლის გარეშე მუშაობის საჭირო დონეზე დაყენებისთვის პასუხს აგებს აგრეთვე მთელი ნაწილი, ყველა მისი მუშაკები.

როცა მეთაურები და პოლიტ მომუშავეები მხნედ ჩაებმებიან საკლუბო მუშაობაში, წითელ არმიელებიც ხალისით წაბაძავენ მათ.

ამიტომაც საკლუბო მუშაობის გაძლიერების, მისი წრეების გაცხოველების საქმეს ამ თავითვე უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი პოლიტ და მეთაურთა შემადგენლობის მხრივ.

მხოლოდ ამ შემთხვევაში დადგება სათანადო სიმაღლეზე სკოლის გარეშე მუშაობა და კლუბი გარდაიქცევა კომუნისტური აღზრდის ნამდვილ ცენტრად.

კ—ი.

## შეისწავლე სამხედრო საქმე.

## შეისწავლე შაშხანა.

### შაშხანის მოხვედრის თავისებურობა.

შაშხანის ყველა ნაწილები, დაწყებული ლულიდან და გათავებული პატარა მანჭვლით, მზადდება ქარხნებში სულ ერთი და იმავე ზომით. მაგრამ დამზადებული შაშხანები სულ უმნიშვნელო განსხვავების გამო ზომაში, სხვადასხვანაირად ხვდებიან ნიშანში. ერთსადაიმავე პირობებში ერთი შაშხანა ხვდება მაღლა, მეორე—დაბლა, მესამე განზე და სხვა. ხშირად ერთი და იგივე შაშხანა ხვდება ხან ზევით, ხან ქვევით, ხან განზე და ხან დაბლა, და ამიტომ მისი მოხვედრა ყოველთვის სხვადასხვანაირია.

რომ გამოიკვლიონ შაშხანის მოხვედრის თავისებურება, ამიტომ სწარმოებს შაშხანის გამოცდა განსაკუთრებულ წესით.

შაშხანის ნაკლს, რომელიც გამოჩნდება გამოცდის დროს, იქავე ასწორებს იარაღის გამგე: გადასწევს სანიშნოს, მოქლიბავს და სხვა. შემდეგ შაშხანას კვლავ გამოსცდიან. შაშხანის მოხვედრის თავისებურობა აღინიშნება გამიზვნის წიგნში ან ნიშანზე. ამის მიხედვით თვითეულ მეომარს შეუძლია სთქვას, თუ რა თავისებურობა აქვს მის შაშხანას, ხოლო რაც მთავარია, ყოველ სროლის დროს მან უნდა მიიღოს მხედველობაში ეს თავისებურობა და აზრა უნდა მისცეს განიშნების დროს. აი ამისთვის სწარმოებს შაშხანის მოხვედრის გამოცდა.

თუ რომ ხელმეორედ გამოცდაზედაც არ სწორდება შაშხანა, მაშინ იგზავნება შესასწორებლად იარაღის სახელოსნოში.

შაშხანის მოხვედრის შემოწმება სწარმოებს შემდეგ შემთხვევებში:

1. შაშხანის საწყობიდან გაცემის დროს;

2. შაშხანის საწყობიდან დაბრუნებისას გასწორების შემდეგ.

3. ერთხელ წელიწადში სროლის დაწყების წინ, უმთავრესად ახალგაზრდა წითელ არმიელების მიერ სროლის დაწყების წინ.

4. ყოველთვის, როცა შემჩნეულ იქნება, რომ შაშხანა ფანტავს ან მიაქვს ტყვია მაღლა ან განზე.

ამრიგად შაშხანის მოხვედრას შეამოწმებენ დროგამოშვებით იმ მიზნით, რომ მსროლელმა იცოდეს და ყოველთვის მიიღოს მხედველობაში სროლის დროს შაშხანის თავისებურობა.

პ.

### გრანატის საბრძოლო მნიშვნელობა.

შაშხანის გაცნობასთან ერთად ახალგაზრდა წითელ არმიელები გზადავზა უნდა გაეცნონ გრანატასაც, რომელიც აუცილებელია ბრძოლაში თვითეული მეომრისთვის.

მაგრამ სანამ გრანატის აგებულების სწავლებას შეუდგებოდე, საჭიროა მოკლედ გაიცნო როდის იხმარება ის ბრძოლაში.

ჩვენ გვაქვს სხვადასხვანაირი გრანატა, მაგრამ ყველა ისინი იყოფა ორ ნაწილად: თოფისა და ხელით სატყორცნი. თოფის გრანატის სროლა სწარმოებს ჩვეულებრივი შაშხანით, რომელსაც ამისთვის განსაკუთრებული მოწყობილობა აქვს. თოფის გრანატის მოხვედრის სიშორე არ აღემატება 300 მეტრს.

ხელის გრანატის გატყორცნა შეიძლება 25-50 ნაბიჯზე.

აქედან სჩანს, რომ გრანატა არის ახლო მანძილზე საბრძოლო იარაღი, ე. ი. ის იხმარება მაშინ, როცა ჩვენ მიუახლოვდებით მტერს და ვიბრძვით ხელჩართულად.

გრანატები უმეტეს შემთხვევაში იხმარება სანგრებთან და ქუჩის ბრძოლებში.

ხშირია ბრძოლაში ისეთი შემთხვევა, როცა შაშხანა, ტყვიამფრქვევი და ზარბაზანი ვერ მოქმედებს და ვერ აყენებს ზიანს სანგარში, ან ღრმა ორმოში ჩამჯდარ მტერს. ტყვია ვერ გადის კედელში, ხოლო ხიშტი რომ იხმარო, ამისთვის მტერი ახლოს არ გიშვებს. აი აქ შეუდარებელია გრანატა. გრანატა სკდება და მისი ნამტვრევები მუსრავს ცოცხალ მიზნებს, ან ანგრევს საფარს. ასეთი მიზნების შესამუსრავად (დასანგრევად) არსებობს კიდევ განსაკუთრებული გრანატა.

დიდი სარგებლობა მოაქვს ხელით სატყორცნ გრანატას უეცარ თავდასხმის დროს, ღამით. უნდა აღვნიშნოთ, რომ, გარდა დამნგრევი მოქმედებისა გრანატა გახეთქის დროს ხმითა და ნამტვრევების ზუზუნით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მოპირდაპირეზე და იწვევს მასში შიშს.

ცხადია, ხელით სატყორცნი გრანატის გამოყენება შეუძლია იმას, ვინც კარგად იცის მისი აგებულობა, გატენა და, საერთოდ, ხმარება. აი ამაში უნდა მდგომარეობდეს აწყებითი სწავლება.

ამის შემდეგ წითელარმიელი უნდა ვარჯიშობდეს გრანატის ტყორცნაში სხვადასხვა მიზანზე და სხვადასხვა გარემოებაში. ბოლოს და ბოლოს მან უნდა ისწავლოს მარჯვე და სწრაფი ტყორცნა რაც შეიძლება შორ მანძილზე და ყოველგვარ მდებარეობაში: აღგომით, საფარიდან, დაჩოქებით, სირბილის დროს და სხვა.

უნდა გვახსოვდეს, რომ გრანატა გამოუცდელ ხელში მეტად საფრთხილო იარაღია. გაუფრთხილებელ მოქცევის გამო შეიძლება ის უდროოდ გასკდეს. ხოლო აქედან ცხადია, რომ გრანატის შესწავლა მეტად სერიოზული უნდა იყოს. გრანატა უნდა შეისწავლოს თვითეულ მეომარმა; ის ისეთივე აუცილებელია ბრძოლაში, როგორც ტყვია და ჰურვა.

პ.

## წითელარმიელთა, წითელფლოტელთა და მათი ოჯახების ინტერესების დაცვა.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებამ გაუგზავნა საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმს ინსტრუქცია დასამტკიცებლად.

ამ ინსტრუქციის ძირითადი შინაარსი შემდეგია: 1) სახელმწიფოს ყველა ორგანოებს ევალება განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ საქმეებს, რომლებიც ეხება წითელ არმიელსა და მისი ოჯახის ინტერესებს.

ცხადია, სხვაფერ შეუძლებელია, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც მშრომელთა ორგანიზაციამ, კარგად იცის, რომ მას ბევრი მტერი ჰყავს; მაშასადამე, საბჭოთა მშრომელის მშვიდობიანი შრომა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ეყოლება ძლიერი, დისციპლინიანი არმია, ხოლო არმია ძლიერია მხოლოდ მაშინ, როცა წითელ არმიელმა კარგად იცის, რომ მისი ოჯახური ინტერესები სავსებით დაცულია საბჭოთა სახელმწიფოს მიერ.

**საჩივრები მოკლე ვადაში უნდა ირჩეოდეს.**

წითელარმიელის, წითელფლოტელის ან მათი ოჯახების საჩივრები კანონით დაწესებულ შეღავათებისა და უპირატესობათა დარღვევის შესახებ, თემის აღმასკომებმა უნდა განიხილონ და მისცენ კანონიერი გზა სამი-ოთხი დღის ვადაში, ან თავიანთ უფლებების ფარგლებში გადასჭრან 7 დღის ვადაში. თემის აღმასკომები ვალდებული არიან არ დაკმაყოფილდენ წითელარმიელის ოჯახის შემავიწროებელ პირის ახსნა-განმარტებით და თავისი თაოსნობით მოახდინონ გამოძიება, თუ რამდენად მართალია ახსნა-განმარტება. გარდა ამისა ვალდებული არიან შეჰკრიბონ ყოველგვარი ცნობები იმ შემთხვევაშიც, როცა წითელ არმიელის ოჯახის წერა-კითხვის მცირე მცოდნე წევრს არ შეუძლია დაწყობილად გადასცეს განცხადება—საჩივარი.

მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ „თემის აღმასკომები ვალდებული არიან თავისი თაოსნობით დაეხმარონ წითელარმიელებსა და მათ ოჯახებს", გარდა დაცვისა შეიძლება ერთგვარი არასასურველი ჩარევა ხელისუფლების წარმომადგენლისა წითელარმიელთა ოჯახურ საქმეებში. ეს მუხლი გაგებულ უნდა იქნას ისე, რომ მცირეწლოვან გლეხს ხშირად არ ესმის, მოაქვს თუ არა მისთვის ბობოლა მეზობელს ზარალი თუ სარგებლობა? მას ჰგონია, რომ ეს ბობოლა მისი მწყალობელია; აი ასეთ შემთხვევაში თემის აღმასკომის ან მის კანონიერ წარმომადგენლების მოვალეობაა აუხსნას გლეხობას ბობოლა—„მწყალობელის" დახმარების მნიშვნელობა, განუმარტოს და აუხსნას ამს: როგორ მოხვდეს კოოპერაციაში წევრად, როგორ მოაწყოს საამხანაგო მეურნეობა, რაში გამოიხატება უკანასკნელის უპირატესობა და სხვა. და აი მხოლოდ მაშინ, როცა ის გამოსთქვამს სურვილს მიიღოს დახმარება თემის აღმასკომისა ან საბჭოთა ხელისუფლების სხვა ორგანოსაგან, მხოლოდ მაშინ უნდა დაეხმარო მას. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ინსტრუქცია, რომელიც იცავს განსაკუთრებით წითელარმიელთა ინტერესებს, გაგებულ იქნება უკუღმა.

**სად შეიძლება საჩივრების შეტანა.**

ინსტრუქციით დაწესებულია, რომ წითელ არმიელებს შეუძლია საჩივრების შეტანა წითელ არმიელთა წერილების ბიუროში ან კავშირის კომისიაში. წითელ არმიელთა ოჯახები კი აგზავნიან საჩივრებსა და განცხადებებს ურთიერთ დამხმარე კომიტეტების საშუალებით. შეიძლება კიდევ საჩივრების შეტანა უფრო ადვილი გზითაც.

ამასთან შეფარდებით ეძლევა ამოცანა პროკურატურას და ევალება თვალყური ადევნოს უკანონო მოქმედებას თანამდებობის პირთა, დაწესებულების და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მხრივ, რომელთაც დავალებული აქვთ წითელ არმიელთა და მათი ოჯახების ინტერესების დაცვა. საჩივრების განხილვის მსვლელობას პროკურატურამ თვალყური უნდა ადევნოს და ძირეულად აღმოფხვრას და მოსპოს საქმის ყოველგვარი გაჭიანურება, რომელსაც, სამწუხაროდ, აქვს ადგილი კიდევ საბჭოთა დაწესებულებებში.

ინსტრუქცია ასე თავდება:

თუ თანამდებობის პირები, რომლებიც არ მიიღებენ ზომებს წითელ არმიელთა, წითელ ფლოტელთა და მათი ოჯახების ინტერესების დასაცავად, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში ს. ს. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 110—111 მუხლების ძალით.

ეს მოკლე შენიშვნა, რა თქმა უნდა, საკმარისი არაა იმისთვის, რომ ეს ინსტრუქცია პოპულიარული იყოს გლეხთა მასებში და იმ პირებს შორის, რომლებიც მუშაობენ თემის აღმასკომებში. მე ვფიქრობ, რომ ინსტრუქციის გამოქვეყნების შემდეგ აუცილებელი საჭირო იქნება დაწვრილებით აეხსნას და განემარტოს ის გლეხობას მასთან ახლო მდგომ ბეჭვდითი სიტყვის საშუალებით; და მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვიყვეთ ჩვენ დამშვიდებით—და დაიმედებული, რომ წითელ არმიელთა ოჯახების ინტერესები გაგებულ და სათანადოდ დაცულ იქნება.

ს. ხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

## ჩვენი ყოფა-ცხოვრებიდან.

ქართ. ცხენ. ლეგ.

ჩვენი ესკადრონი თან და თან ეწყობა. ყველა წითელ მოლაშქრეებს აქვს საკუთარი „კოიკები," საზამთრო საბნები. სისუფთავე დაცულია, ყოველ კვირაში დავდივართ აბანოში. ახალი საცვლები დაგვირიგეს გარდა ხალათისა და შარვლებისა, მაგრამ იმედია, რომ ამასაც მალე დაგვირიგებენ. მეთაურები და პოლიტხელები დიდი ყურადღებას აქცევენ ესკადრონში სისუფთავის დაცვას წითელ არმიელების მიერ. მეცადინეობა უკვე თავისი დონეზე დგება, ყველა ოცეულებში გაკრულია განწესების ცხრილები, თოფების წმენდასაც აწარმოებენ. ახალწვეულებს სამწყობრო მეცადინეობა და ტანთვარჯიში ეს ხამ ყოველ დღე გვაქვს. შემდეგში კარგი იქნება, ცხენებზე დაგვაწყებინებდენ ვარჯიშობასაც. კარგი ხანია დავიწყეთ განწესებაში გასვლა, აგრეთვე ყოველ დღეში გვაქვს პოლიტსაათები; უცოდინართა სემინარის მსმენელები არ გადიან განწესებაში. ხშირად გაზეთები თუმცა ხანდისხან გვიან მოგვდის, მაგრამ ჩვენ საღამოს 7 საათიდან—9 საათამდე, მანამ დაიწყებოდეს ამოკითხვა, თავისუფალი დრო გვაქვს და ამ დროით ვსარგებლობთ ახალი წერილების გარჩევისათვის, რასაც დიდი ინტერესით უსმენენ წითელი მოლაშქრეები.

ჩვენთან ასეთი წესით სწარმოებს მეცადინეობა: რომელიმე ამხანაგი აიღებს ხელში წიგნს ან გაზეთს, წაიკითხავს რომელიმე თავს და შემდეგ ამისა იმართება დიდი ბაასი, ყველა გამოსთქვამს თავის აზრს. ასე ამ რიგად ვსარგებლობთ ჩვენ თავისუფალ საათებით, რათა მივიღოთ მეტი ცოდნა.

გვყავს რამოდენიმე სამხკორი, რომლებიც ცნობას აწვდიან როგორც კედლის გაზეთს ისე გაზ. „წითელ არმიელს"

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## დისციპლინა შევითვისეთ.

მე-2-ე არტლეგიონის სამოსწავლო ბატარეიაში მთელი შემადგენლობა ვართ ახალწვეულები. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი შემადგენლობა თუ არა 80 პროც. სოფლის ახალგაზრდებია.

ყაზარმაში მოსვლისას ჩვენ არ ვიცოდით სამხედრო დისციპლინა და ვერც შევეჩვიეთ მას პირველ ხანებში.

ბევრს ჩვენთაგანს ასე ეგონა, რომ სულ კარანტინში ვიქნებოდით. განვლო ორმა კვირამ. ჩვენი ყაზარმაში გადასვლისას სურათი სრულიად გამოიცვალა და წითელ არმიელები შეუდგნენ აქტიურ მუშაობას. მდგომარეობა გაუმჯობესდა ყოველ მხრივ. ჩვენ გავიგეთ და შევითვისეთ სამხედრო დისციპლინა. თუ პირველად მეთაურებს აჯავრებდა წითელ არმიელები ეხლა ასეთებს არ აქვს ადგილი, ყველამ შეისწავლა თავისი მოვალეობა და ერთგულად ასრულებენ მას.

ნაწილში უკვე ჩამოყალიბდება სხვა და სხვა წრეები როგორც არის: პოლიტიკური, ლიტერატურული, დრამატიული, სპორტიული და სხვა.

საერთოდ სასურველ დონეზეა დაყენებული პოლიტ მეცადინეობაც, მხოლოდ პირველ მწყობრს არ ყავს მუდმივი პოლიტხელი. საჭიროა დაინიშნოს მისი მაგიერი.

საღამოობით ჩვენთან ტარდება საუბრები პოლიტიკური და აღმზრდელობითი ხასიათის, რასაც კარგი შედეგი მოაქვს.

კ. გაბუნია.

## ჩვენც გავაჩაღეთ მუშაობა.

1-ლი ლეგიონის ბატარეია.

კარგახანია რაც ჩვენი ბატარეია შეივსო ახალწვეულ წითელ არმიელებით. ახალწვეულებთან სისტემატიურათ სწარმოებს. მეცადინეობა, თავისუფალ დროს—ერთი წუთიც არ იკარგება, სწარმოებს გაზეთის ხმამაღალი კითხვა, ლიტერატურული გასამართლება და სხვა. ასეთ გასამართლებებში ახალწვეული წითელი არმიელები ღებულობენ მონაწილეობას. ბატარეიაში გვაქვს დაარსებული სხვა და სხვა წრეები როგორც, სამხკორთა, პოლიტეკონომის შესწავლის, ლიტერატურული და სხვები. ამ წრეებში ყოველი წითელი არმიელი მუშაობს, ზოგიერთები რამდენიმე წრეში მუშაობს, რადგან ის იმდენათ დაინტერესებულია ცოდნა-განათლებით. ეს მომავალში აუცილებლივ უფრო გაცხოველდება.

სამხკორი ე. ჭალისხეველი.

## ჩვენი სამხკორები სწავლობენ ჩვენს ისტორიულ ნაშთებს

მე-3 ლეგიონი.

ლეგიონის სამხკორთა ორგანიზატორმა ამხ. კენჭაძემ, მოაწყო სამხკორთა წრის წევრების და მსურველი წითელ არმიელების ექსკურსია ქუთაისში ბაგრატის ნანგრევებზე. რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგებზე. დათვალიერებული იქნა მთელი მიდამოები. მთელი ქუთაისის მიდამოები ხელის-გულივით გადიშალა ჩვენ თვალისწინ. იმავე ნანგრევებზე წავიკითხეთ ტაძრის ისტორია, თუ როდის დაწყებულა—და როდის დაუნგრევიათ და ვის.

ექსკურსიამ ძლიერ ასიამოვნა ამხანაგები. იმედი გვაქვს ჩვენი ორგანიზატორი გაგვაცნობს სხვა საყურადღებო და შესანიშნავ ადგილებსაც.

სამხკორი კაკო.

## კლუბის მუშაობა ახალწვეულებთან.

1-ლი ლეგიონი.

ლეგიონის კლუბში ხშირათ იმართება ახალწვეულებისთვის სხვა და სხვა შინაარსის წარმოდგენები და კინო სურათების ჩვენება, რაზედაც ახალწვეულები ძალიან კმაყოფილნი არიან.

6 ოქტომბერს დადგმულ იქმნა პიესა „ელეონორა", რაც კარგათ იქნა ჩატარებული. წარმოდგენის დასრულების შემდეგ მოეწყო „ელეონორას" გასამართლება. გასამართლებაში მონაწილეობდა წითელ არმიელებიც. გასამართლებამ დამცველებსა და ბრალმდებლებს შორის გამოიწვია ხანგრძლივი კამათი, რის შემდეგაც დროს უქონლობის გამო გასამართლება გადაიდო შემდეგისათვის.

ასეთი სახის წარმოდგენები ახალწვეულებზე დიდ გავლენას ახდენს და ახალისებს მათ ყოველგვარ კულტურულ ცოდნის შესაძენათ.

უსურვებთ კლუბს უფრო ნაყოფიერ მუშაობას.

წ. ა. კ. მინდიაშვილი.

## ჩემი პირველი დღეები ყაზარმაში.

1-ლი ლეგ. მესამე ათას. მე-8 ასეულში.

ა. წ. ხუთ ნოემბერს გამიწვიეს წითელ ჯარში, რომელსაც დიდი სიხარულით ვეგებებოდი. როდესაც ქუთაისიდან გამოვემგზავრე № ქალაქში ღამე შემიხვდა მგზავრობა და სიხარულით მთელი ღამე არ მიძინია, რადგან მეც შევიქენი წითელარმიელი, საბჭოთა ხელისუფლების დარაჯი. ექვს ნოემბერს ჩამოვედი ნაწილში და მიგვიყვანეს კარანტინში, სადაც თითქმის ერთ კვირაზე მეტი იქ დავყავი, პირველსა და მეორე კარანტინში. შემდეგ ერთი კვირისა გადაგვიყვანეს ასეულში. ეხლა ვარ ასეულში და როგორც სახლიდან წამოსვლის დროს ვიყავი მხიარულად, მასზე უკეთეს ხასიათზე ვარ, რაც შეეხება მეცადინეობას, აქაც ვღებულობ ყოველგვარ მონაწილეობას და ვცდილობ ყოველივე კარგად შევითვისო და გავხდე კარგათ მომზადებული და გათვითცნობიერებული.

წ. მოლაშქრე გ. ფუტკარაძე.

## სამაგალითოდ მოვეწყვეთ.

მე-4 ლეგ. მე-2 ათასეული,

ათასეულის შენობის შეკეთება უკვე დამთავრდა. მოვაწყვეთ ლენინის კუთხე. პლაკატები, ლოზუნგები, შესაფერი ლიტერატურა და სხვა და სხვა გასართობები ბლომათ მოიპოვება კუთხეში.

ათასეულში მოწყობილი გვაქვს აგრეთვე სამხედრო სამეცნიერო კუთხე, რომელშიდაც გვაქვს თითქმის ყოველგვარი იარაღები და მათი სურათები—პლაკატები შესაფერი ახსნა-განმარტებით. ათასეულის მეოთხე ასეულმა კი ქ. ზესტაფონის სამოქალაქო სამკითხველოსთანაც მოაწყო სამხედრო კუთხე, სადაც კერძო მოქალაქეებიც დაიარებიან და ეცნობიან სამხედრო იარაღებს და სამხედრო ლიტერატურას.

ათასეულმა კარგა ხანია დაიწყო აგრეთვე ახალწვეულების სამხედრო და პოლიტიკურად მომზადებისათვის მუშაობა. მოხდა წერა-კითხვის უცოდინართა რეგისტრაცია, რომლებიც დაყოფილი იქნენ ჯგუფებათ და დაიწყო მათთან მეცადინეობა.

ლ. ჭელიძე.

## მადლობის ღირსი არიან.

მესამე ლეგიონში ბატარეიის დაარსებისთანავე ბატარეის უფროსად დაინიშნა ამხ. წერეთელი და პოლიტ-ხელად ამხ. ნადარეიშვილი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი ამხ-გი ჩვენს ნაწილებში ეწეოდენ დიდ თავდადებულ მუშაობას და დიდ ენერგიას იჩენდენ ბატარეის მოწყობისა და წითელ არმიელთა აღზრდის საქმეში.

მუშაობის ნაყოფი ყველასათვის უკვე შესამჩნევია. ნაწილი თუმც ახალი დაარსებულია, მაგრამ, მისი მოწყობილობა და წითელ არმიელთა მომზადების დონე პოლიტიკურ და სამხედრო დარგში არ ჩამორჩება სხვა ნაწილებს.

ამ ჟამად ეს ორი ამხ-გი გადაყვანილი არიან სხვა ნაწილში. ჩვენ, წითელ არმიელები დიდ მადლობას უცხადებთ ზემოხსენებულ ჩვენს მასწავლებლებს და ფიცს ვსდებთ, რომ ჩვენ მათ არ შევარცხვენთ და დაუღალავი მუშაობით კიდევ უფრო მეტს შევისწავლით და გავთვითცნობიერდებით.

მხედარი

### მოვსპოთ ცუდი სიტყვების ხმარება.

1 ლი ლეგ. სამნეო გუნდი.

არ იქნა და არა, გუნდში ჯერ კიდევ ვერ მოიშალეს ზოგიერთ ამხანაგებმა ცუდი სიტყვების ხმარება. ენას არ შამოაბრუნებენ ისე, რომ ლანძღვა გინებით არ გაუმასპინძლდენ ერთმანეთს. გამარჯვების მაგივრად გინებით ესალმებიან ერთი მეორეს.

დროა გუნდის უფროსმა და პოლიტხელმა სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამ მოვლენას და იქონიონ მათზე გავლენა.

წ. არმ. ლ—ძე.

# წვევამდელთა მზადების პუნქტებზე

## წვევამდელთა საქმიანობა.

მეოთხე ლეგიონის მე-2-ე ათასეული.

პირველ დეკემბრიდან ჩვენი ათასეული უკვე შეუდგა 1904 წელში დაბადებულ მწვევამდელების მზადებას. ათასეულს უჭირავს 6 წერტი. უფ-პოლიტ შემადგენლობას და წითელ არმიელთა ძალებით თანაწორად არის განაწილებული წერტებზე, სადაც უკვე ნორმალურად მიმდინარეობს ყოველგვარი მეცადინეობა. მუშაობას მხოლოდ ხელს უშლის წერტების ტეხნიკურად მოუწყობლობა. ცუდი ამინდები ძლიერ აფერხებს საქმეს. წვევამდელებს შორის დეზერტირობას ადგილი არა აქვს. ყველა თითქმის ცხადდება თავისი სურვილით და ენერგიულად ეკიდებიან მეცადინეობას.

ბოლო ხანებში აქ დაიჭირა კარგი ამინდები, რაც საშვალებას იძლევა მუშაობის უფრო გაცხოველებისათვის.

ლ. ჭელიძე.

## ჩვენი მუშაობა წერტებზე.

მე-2 არტლეგიონი.

1 და 2 საველე ბატარეიებს დავალებული აქვთ მომავალ წითელ მოლაშქრეების მომზადება. დაუზარებლად ვაწარმოებთ მუშაობას ამ მხრივ და ვცდილობთ ახალგაზრდობას გავაცნოთ ჩვენი წითელ ყაზარმის ყოფა ცხოვრება და წითელი ჯარის მნიშვნელობა. ვეშურებით, რაც შეიძლება ჩქარა გადავიტანოთ ადგილებზე სამოსწავლო იარაღები და შეუდგეთ დიდის ენერგიით წვევამდელთა შორის მუშაობას. წითელ არმიელები დიდის ხალისით ეწევიან მუშაობას, მათ შორის სიზარმაცეს და დაუდევრობას არ აქვს ადგილი. როგორც კი გაიგებენ რომ წასასვლელია სამუშაოდ, ისინი დიდის სიხალისით მიეშურებიან წერტებისაკენ სამეცადინოთ. მეთაურები ყოველ დღე იმას გვასწავლიან, თუ როგორ უნდა ვაწარმოვოთ მეცადინეობა წვევამდელთა შორის.

სამხკორი ძირულელი.

## სოფ. მარნის წერტის მუშაობა.

ჩვენი წერტის მუშაობა დაიწყო პირველ დეკემბრიდან. მუშაობას აქნობამდე ხელს უშლიდა უბინობა და წერტის მოუწყობლობა.

მაგრამ ენერგიული მუშაობით ეს დაბრკოლებანი გადალახულ იქნა. ამ ჟამად უკვე გვაქვს ბინა და წერტიც საშუალოდ მოვაწყვეთ.

ნორმალური მეცადინეობა დაიწყო ჩვენთან 3 დეკემბრიდან. წერტს ყავს თავისი უფროსი და უმცროსი მეთაურები. მეცადინეობა სწარმოებს დღეში 7 საათი, პოლიტიკურ და სამხედრო დარგებიდან. წვევამდელები გადაცემულს კარგად ითვისებენ და გულმოდგინეთ მეცადინეობენ.

გაუმარჯოს ჩვენს მუშაობას.

გაუმარჯოს ტერ-ნაწილების მოწყობის საქმეს.

ვანო ნოზაძე.

# ცვალებადელთა წერილები

## რა მოგვცა ტერშეკრებამ.

1923 წელში გამიწვიეს სამხედრო ბეგარის მოსახდელად მე-3 ლეგიონში, სადაც შევისწავლე სამხედრო და პოლიტ საქმე.

ბეგრის მოხდის შემდეგ გავთავისუფლდი უკვე თვალებ ახელილი და გონება გახსნილი.

სოფელში მისვლის თანავე შეუდექი ჩემი ცოდნის გავრცელებას. ვფიქრობდი, რომ ჩემს ახალგაზრდა გლეხობასთან ისევ ისეთი სიბნელეა როგორც დავტოვე. წასვლის დროს იმათმა არც კი იცოდნენ როგორი მთავრობაა, და გლეხური მთავრობა რა საშვალებას აძლევს ღარიბ ხალხს და სხვა.

მაგრამ მე შევცდი. თურმე აქაც მოუღწევია განათლების სხივს. ჩემი მეზობლებიც გამოხმაურებიან მუშურ გლეხური მთავრობის ყოფა-ცხოვრების ფერხულს. მე სურვილი აღმეძრა ჩემი ცოდნა უფრო გამეღრმავებინა და კიდეც გამოინახა ამის საშვალება—ეს არის ტერ-სისტემის შემოღება. რომელიც დროებით მივიწყებულ ცოდნას კვლავ მოგვაგონებს და უფრო გაგაღრმავებინებს. შემოდგომაზე გაწვეული ვიყავი მე 4 ტერლეგიონში მე-3 ასეულში, სადაც დავრჩი თვე-ნახევარი და ამ თვენახევარმა მომცა საშვალება ბევრი რამ ახალი მომესმინა და შემესწავლა. ტერ-შეკრების დამთავრების შემდეგ ჩვენ დავბრუნდით გლეხობას, სადაც ჩვენი უფროსი ამხანაგების დავალების თანახმად შეუდექით მოვალეობის ასრულებას. ჩვენ უპირველეს ყოვლისა მუშაობის მთელი სიმძიმე გადვიტანეთ ახალწვეულთა შორის, რომ გაწვევა კარგად ჩატარებულიყო.

1903 წელში დაბადებულებს ეგონათ რომ ისინი მიყავდათ ისეთ ჯარში, როგორც იყო ნიკოლოზის დროს. მაგრამ როდესაც ჩვენ, ტერარმიელები გვნახეს სრულიად გამოცვლილი, იმათ კენჭის ამოღებაზე ჩხუბი მოსდიოდათ, რომ მომხვდარიყვენ წითელ არმიის რიგებში.

დაუახლოვდით აგრეთვე, გლეხკომების მუშაობას სოფლად, კოოპერაციის და სხვა.

7 ნოემბერს ჩვენი მე-3 ასეულის მეთაური და პოლიტხელი გვეწვიენ სოფელში ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავის ჩასატარებლად. და კულტ-შეფობაზე, სადაც უამრავი შეკითხვებით გამოდიოდნენ ჩვენი გლეხები.

ჩვენი შეფი გაკვირვებული დარჩა, როცა ნახა, რომ სოფელი ასე გამოფხიზლებულა.

ტერ-არმ. მ. ჭელიძე.

# პარტიული და ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციის ცხოვრება

## ახკომკავშირელთა შორის

### ქართულ მეთაურთა სკოლა.

ა. წ. 5 დეკემბერს სკოლის 1-ლ უჯრედში შესდგა ახ. ლ. კ. კ. ღია კრება. კრებას დაესწრო ასეულის მთელი შემადგენლობა, მასთან უპარტიო ამხანაგებიც.

მოხსენება დაავლებული ჰქონდა კურსანტს საქართველოს ახ. ლ. კ. კავშირის 8 წლის თავის შესახებ. პირველი მოხსენებით გამოვიდა კურს. ამხ. იორაშვილი, რომელიც შეეხო კომკავშირის დაარსებას საქართველოში, როგორ პირობებში უხდებოდათ მუშაობა მშრომელ ახალგაზრდებს საქართველო გასაბჭოებამდე და სხ.

თანამომხსენებლათ გამოვიდა კურს. ამხ. მაისურაძე, რომელიც შეეხო გასაბჭოების შემდეგ ახ. ლ. კ. კ. ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას და მის რიცხვობრივ და თვისობრივ ზრდას.

კარგი იქნება რომ სხვა დანარჩენი ამხ—გები თავის სურვილით მოამზადებდეს პატარ-პატარა სამაგალითო მოხსენებს, რომ ყოველი ახ. ლ. კ. კ. წევრი გახდეს აქტიური, რომელიც უფრო ნაყოფს მოუტანს ჩვენს რიგებს და მით უფრო დაინტერესდება ჩვენს გვერდით მდგომი უპარტიო ამხანაგები.

ახკორი გ. ბ—ე.

### პირველი ლეგიონის პირველი ასეული.

ჩვენი ნაწილის პირველ ასეულში 8 დეკემბერს შესდგა ახკომკავშირის ჯგუფის გაერთიანებული კრება სამოქალაქო ორგანიზაციის „მე-9 იანვის“ უჯრედის წევრებთან ერთად. კრების დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1 კომკავშირის მუშაობის ამოცანები წითელ არმიაში, 2. ჯგუფის ორგანიზატორის მოხსენება თავის მუშაობაზე, 3. ახალი ორგანიზატორის არჩევა და 4. მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ზ. კვინიკაძე, რომელიც ნათლად აღნიშნავს ყველა მხარეებს კომკავშირის მუშაობის ამოცანებისას წითელ არმიაში. მომხსენებელმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა კომკავშირის ღირსეულ წევრების პარტიაში გადარიცხვას და უპარტიო წითელ არმიელთა კომკავშირში მიღების აუცილებლობას და სხვა, მოხსენების ირგვლივ იყო შეკითხვები.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ჯგუფის ორგანიზატორი ამხ. გამრეკელი, რომელიც ეხება მის მერ გატარებულ მუშაობას, მისი არჩევიდან დღემდე. კრებამ ამხ. გამრეკელის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და ისევ ის აირჩია პირველი ასეულის კომკავშირის ჯგუფის ორგანიზატორად.

მიმდინარე საკითხებში გარჩეულ იქნა კითხვა „მე-9 იანვრის“ უჯრედთან კავშირის შესახებ. კრებამ აირჩია სამი წითელი არმიელი ამხ. ამხ. ბურჯანაძე, თოდუა და ბარამიძე, რომელთაც დაევალათ „მე-9 იანვრის“ უჯრედის ბიუროს კრებებზე დასწრება.

სამხკორი ა. დეისაძე.

## ა. ლ. კ. კ, ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა.

მე-5 ლეკსკოლის პირველი გამოშვება დასრულდა ამ ახლო ხანში. აქ რამოდენიმე მშრომელმა ახალგაზრდამ მოკლე დროში შესძლო იმ საჭირო სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის შეძენა, რომელიც მათთვის აუცილებელია.

მათი ადგილი სკოლაში დაიკავა 1903 წელში დაბადებულ ახალწვეულებმა. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ეხლანდელი შემადგენლობა სავსებით განსხვავდება სკოლის წარსულ შემადგენლობისაგან. დღევანდელ შემადგენლობაში ა. ლ. კ. კ. წევრები საკმაო რიცხვს წარმოადგენს. სკოლის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი აქვს ქუთ. საქსოვ ფაბრიკის ა. ლ. კ. კ. უჯრედთან. 5 დეკებერს მოხდა მათი გაერთიანებული სხდომა, სადაც გარჩეული იქნა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. მოხსენება გააკეთეს დისციპლინის შესახებ, დისციპლინის დამრღვევ ამხანაგები კი იქნა გასამართლებული ოთხი მათგანი გაიპარა ჯარიდან, ეს ოთხივე გამორიცხული იქნენ სკოლიდან.

კედლის გაზეთისთვის და დრამწრისთვის არჩეული იქნა როგორც ფაბრიკიდან ისე ჯარიდან რედკოლეგია და დრამწრის ხელმძღვანელი კომისია.

გამოყოფილი იქნა ბეჭვდითი სიტყვის რწმუნებული, რომელსაც დაევალა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ გავრცელება. გამოყოფილი იქნა საშეფო კომისია.

უსურვებთ, რათა ორთავე უჯრედს განემტკიცებიოს ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირი და ზემოხსენებული კომისიებს გაეღრმავებიოს თავისი მუშაობა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს პოლიტიკურ და კულტურულ დონის ამაღლებას და უპარტიო ახალგაზრდობაში ფართო ნდობის დამსახურებას.

ახალწვეული მ. ჭ—ა.

# უცხოეთის არმიებში და ფლოტში

**წითელ ფრონტელების გაწვევა.**

წითელ ფრონტელების კავშირის რეინის ქვედა ოლქის კომიტეტმა მიმართა ღია წერილით, „რესპუბლიკანურ დროშის“ მუშა—წევრებს, რომლებიც დემოკრატების და სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რომლით ისინი მოუწოდებენ მუშა-წევრებს წითელ ფრონტელებთან ერთად შექმნან მთლიანი ფრონტი რეაქციის წინააღმდეგ. წითელი ფრონტელები სწერენ, რომ ისინი მზად არიან წინაღუდგენ ფაშისტების მებრძოლ ორგანიზაციის: „ფოლადის ჩაფხუტის“ სურვილებს მიაწყონ გამოსვლები რეინის ქვედა ოლქის ქალაქებში.

**სამხედრო იუსტიცია.**

გერმანიის რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად სამხედრო სასამართლოს შემადგენლობაში, უნდა შედიოდეს ყოველ შემთხვევაში, მაინც ერთი ოფიცერი. ეს დადგენილება 1918 წლის დეკემბრის დეკრეტთან შედარებით ნაბიჯი უკან არის, რადგან 1918 წლის დეკრეტის ძალით სასამართლოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ იმ თანამდებობის პირნი, რომელსაც ეკუთვნოდენ ბრალდებულები.

**უკანასკნელი რეკორდი ავიაციაში.**

ერთმა გამოჩენილმა ფრანგმა მფრინავმა ჰაეროპლანით აფრინდა სამნახევარ კილომეტრის სიმაღლეზე საათსა და 12 წუთში. ჰაეროპლანის მოტორს 2 ათასი ცხენის სიმძლავრე ჰქონდა, მან ზევით აიტანა 420 ფუთი ტვირთი. ასეთი სიმძიმის ატანა ასეთ სიმაღლეზე ამ სიჩქარით უკანასკნელი რეკორდია ავიაციაში.

# ამბები სოფლებიდან.

**გზის გაყვანა.** რაჭის აღმასკომმა დაამთავრა ქრებალოდან ნიკორწმინდამდე გზის გასაყვანათ წინასწარი გამოკვლევა.

**საექიმო პუნქტი.** აგვისტოდან სოფ. ბუგეულში (რაჭა) მოქმედობს აღმასკომის მიერ გახსნილი საექიმო პუნქტი.

**ბორჯომის აღმასკომის** მეთაურობით ახლო-მახლო სოფლებში შეკეთდა დეკემბრამდე 14 ხიდი და ბოგირი.

**სკოლის გახსნა.** სოფ. ბუშეთის გლეხებმა (ბორჯომის ხეობა) საკუთარი ხარჯით ააშენეს სკოლა.

**საუბრები მესაქონლეობაზე** რაჭის აღმასკომი სხვა და სხვა სოფლებში აწყობს საუბრებს მესაქონლეობაზე.

**ახალი საავადმყოფო.** გალის მაზრაში (აფხაზეთი) გაიხსნა ახალი საავადმყოფო.

**საჩხერეში** მოეწყო ბავშვთა თავშესაფარი, სადაც მოთავსებულ იქნება 60 უპატრონო ბავშვი.

# ახალი ამბები.

— **მადათოვის კუნძულის გამშვენიერება.** გლეხთა სახლის გამგეობამ წინადადება მისცა ტფ. აღმასკომს გადაეცეს მას კუნძულის გამშვენიერება, სადაც მოეწყობა სანაოსნო სპორტი, პლიაჟი და მზის ვანები.

— **მიმდინარე წლის** პირველი ექვსი თვის განმავლობაში მთელ საქართველოში აღრიცხულია 9.268 ქორწინება, 905 განქორწინება და 51 გვარის გამოცვლა.

— **საბინაო მშენებლობის** დამხმარე კომიტეტის ცნობით მთელ საქართველოში კოოპერატიულ სახლების აშენებაზე დახარჯულა წარსულ წელს 265 ათასი მანეთი.

— **ვაშლის გასაღება.** წარმოკავშირმა ამიერ კავკასიაში და რუსეთში გასასაღებლათ დაამზადა 80 ათასი ფ. ვაშლი.

— **ნავთის გატანა.** ნოემბრის განმავლობაში ბათომიდან ოსმალეთში გაუტანიათ 45 ათასი ბიდონი ნავთი.

— **ბამბის შეკრება.** ამ ჟამად მთელ ამიერ კავკასიაში შეკრებილია 3.232.964 ფუთი ბამბა.

**ხელოვნება.**

**ახალი კავკასიონი.** 1-ლი იანვრიდან დაიწყებს გამოსვლას ჟურნალი „ახალი კავკასიონი“.

**აკაკის რჩეული** პროზის 1-ლი ტომი იბეჭდება და გამოვა ამ დღეებში.

# პასუხი შეკითხვებზე.

**წ. ა. აბუთიძეს.** როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება არ ასრულებს უმაღლეს ორგანოების დადგენილებას წითელ არმიელების მიმართ, მაშინ უნდა მიმართოთ საჩივრით სამხედრო პროკურორს.

**შ. ბურკაძეს.** თქვენი შეკითხვა ბუნდოვანია. თუ საშუალო სასწავლებელი გათავებული გაქვთ, მოწმობა რატომ არ გაქვთ. მოწმობის უმისოდ კი არ დაგიშვებენ საშუალო მეთაურის ხარისხის გამოცდებზე.

**ლ. ხახუტაშვილს.** პროფკავშირის წევრს არ შეუძლია იყოს კერძო სავაჭრო დუქანში ამხანაგად. თუ ასეთს ადგილი აქვს უნდა აცნობოთ კავშირს.

**ჭალისხეველს.** ვინაიდან თქვენ გაქირავთ ბინა ზომით 30 კვ. არშინი და თვეში ღებულობთ 23 მანეთს, ამიტომ თქვენ უნდა იხადოთ თვეში ბინის ქირად 30 გამრავლებული 1,5=45კ., ცხრა შაურს უნდა გამოაკლოთ 25 პროც., როგორც სამხედრო მოსამსახურე, ე. ი. თქვენ უნდა იხადოთ თვეში 33 და სამი მეოთხედი კაპ.

**პ. აბესაძეს.** მიწის საკითხის შესახებ უნდა მიმართოთ შორაპნის მაზრის აღმასკომის მიწად-მოქმედების განყოფილებას.

**ობლიშვილს.** მოკლე ვადიან შვებულებისთვის უნდა მიმართოთ თქვენს უფროსს და მასთან უნდა წარუდგინოთ მას მოწმობები.

**გ. ჭანკვეტაძეს.** სასწავლებელში სიარული შეგიძლიათ მხოლოდ თქვენი უფროსის ნებართვით.

**შ. ჯოხაძეს** დახმარება მშობიარობის დროს და ბავშვისათვის რძის ფულის მიღების შესახებ წითელარმიელებისთვის არ არის გათვალისწინებული. თქვენ დახმარებისთვის უნდა მიმართოთ ადგილობრივ ხელისუფლებას თქვენი სამხკომის საშუალებით.

**მ. გ—ს.** ვინაიდან თქვენი დედა არ არის 60 წლის, ამიტომ საოჯახო ულუფას ვერ მიიღებთ. უნდა წარადგინოთ საექიმო კომისიის მოწმობა, რომ ის შრომის უნარ მოკლებულია და მაშინ მოგეცემათ საოჯახო ულუფა (რევსამხსაბჭოს ბრძანება № 163).

**ლ. ს—ას.** ზედმეტ მსახურ უმცროს მეთაურს შეუძლია თავის ხარჯით კერძო ბინაზე ცხოვრება.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ ამხ. პორფილე ფილიპეს ძე პაპავას.

თუ ვინმემ რაიმე იცით უარყოფითი ამხანაგის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში მხოლოდ ხელის მოწერით და სათანადო დამტკიცებით ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ვანო ნოზაძეს.** თქვენი განცხადება წიგნაკის დაკარგვის შესახებ არ დაიბეჭდება, რადგანაც თქვენ წიგნაკი კი არ დაგიკარგიათ, არამედ ჩამოურთმევია რკინის გზის რევიზორს მატარებელში მოგზაურობის დროს. გამოსთხოვეთ უკანვე.

**ამხ. ი. კაზაევს,** სოფ. ბალთაში მცხოვრებს. თქვენი კორესპონდენცია თქვენი სოფლის ყოფა-ცხოვრების შესახებ, გადაეცა გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქციას.

**სამხკორ ამხ. ჭანტურიას.** თქვენი კორესპონდენცია ახალწვეულთა საზეიმო შეხვედრის შესახებ, არ დაიბეჭდება დაგვიანებულია.


# რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის.


# განცხადება.

მე-2-ე არტ ლეგიონის ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს ბიუროს წევრებისა და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე ლეგიონის სადგომში დანიშნულია ბიურო-კოლექტივის მორიგი სხდომა. ვთხოვთ ამხანაგებს არ დაიგვიანონ.

ბ./კ. პასუხის მგებელი მდივანი კულუმბეგაშვილი.

ნ. დ. ს. ც   სამხედრო სტამბა ქუთაისის ქ. № 3.   პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე